

აფროამერიკული დისკურსი ტონი მორისონის რომანში „წყალობა“ და მისი  
თარგმნის პრობლემა

ეკა კვიციანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე  
უცხო ენათა ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული  
ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია), შედარებითი  
ლიტერატურათმცოდნეობა

ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე, ასოცირებული  
პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკა კიკნაძე

თარიღი:

---

---

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ტონი მორისონის რომანში „წყალობა“ აფროამერიკული დისკურსის მნიშვნელობა და მისი ქართულ ენაზე თარგმნის პრობლემა. „წყალობა“ პოსტკოლონიურ ლიტერატურას მიეკუთვნება და შესაბამისად, მასში აფროამერიკული დისკურსის მნიშვნელობა პოსტკოლონიალიზმის კონტექსტში განიხილება. კვლევაში გაანალიზებულია პოსტკოლონიური ლიტერატურის თარგმნის თავისებურება და თარგმნისას რეზისტენტული თხრობისა და სიუცხოვის შენარჩუნების მნიშვნელობა. ტექსტში აფროამერიკული დისკურსის ქართული თარგმანი ლორენს ვენუტის „გაუცხოება“/„გაშინაურების“ მიდგომის საფუძველზეა განხილული. ვენუტის კონცეფცია ორიენტირებულია წყარო ტექსტის განსხვავებულობის სამიზნე ენის უცხო და არასტანდარტული ფორმებით შენარჩუნებაზე, რაც პირდაპირ ეხმიანება ნაშრომის მიზანს, შეაფასოს რამდენად აისახა აფროამერიკული დისკურსის განსხვავებულობა ნინო რამიშვილის ქართულ თარგმანში, რომელიც 2013 წელს გამოიცა. ტექსტში აფროამერიკული ინგლისურის მაგალითები ენათმეცნიერ უილიამ ლაბოვისა და ჯეკ სიდნელის და ასევე, მორისონის კვლევებზე დაყრდნობით შეირჩა. გრამატიკულ მახასიათებლებთან ერთად, გაანალიზდა, „წყალობაში“ გამოყენებული აფროამერიკულ ინგლისურში უცხო ენებიდან შესული სიტყვებიც. შედეგები მნიშვნელოვნად დაეხმარება მთარგმნელებსა და პოსტკოლონიალიზმის მკვლევარებს უკეთ გაიაზრონ პოსტკოლონიური ლიტერატურის მნიშვნელობა და მისი თარგმნის გამოწვევები.

საკვანძო სიტყვები: პოსტკოლონიალიზმი, იდეოლოგია, „ჰიბრიდულობა“, აფროამერიკული ინგლისური, სტანდარტული ინგლისური, დიალექტი, თარგმნის სტრატეგიები, „გაუცხოება“/„გაშინაურება“

## Abstract

The thesis explores the importance of African American discourse in Toni Morrison’s “Mercy” and the challenges related to its translation into the Georgian language. “Mercy” is a postcolonial novel. Therefore, in the first place, the meaning of postcolonialism and postcolonial literature is explained to explicitly define the importance of African American discourse for the novel. Moreover, the thesis identifies common challenges related to the translation of postcolonial literature to reveal that the main values such as resistance and foreignness should be maintained in the target text. Due to the prime objective of the thesis to evaluate how the source text’s foreignness is preserved in the Georgian translation by Nino Ramishvili (2013, Palitra L), the analysis is carried out within the Lawrence Venuti’s “Domestication”/“Foreignization” conceptual framework. The latter focuses on preserving the source texts’ uniqueness through the target languages’ marginalized linguistic forms. Examples of the African American dialect are traced in the text based on the features of the dialect identified by the famous linguists William Labov and Jack Sidnell. The analysis covers the novel’s African American grammatical features as well as foreign words used by the characters speaking the dialect. The findings are

believed to help the scholars and translators better understand the value of postcolonial texts and more effectively handle the challenges related to such translation.

**Key Words:** African American English, Standard American English, Postcolonialism, Ideology, Dominant, Marginalized, “Hybridity”, Venuti’s “Domestication”/ “Foreignization”

## მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ ქალბატონ ნინო მატარაძეს, რომელმაც მომცა თავისუფლება თემის არჩევაში და შენიშვნებითა და რეკომენდაციებით დამეხმარა ნაშრომის მომზადებაში.